მეორე ადგილზე

17 სექტემბერს თბილისის “დინამოს” სტადიონზე თბილისის დინამოელები შეხვდნენ სტალინოს “შახტიორს”. ეს იყო მათი უკანასკნელი თამაში მიმდინარე წლის პირველობაზე.

შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის: თბილისელები მოგების შემთხვევაში ყოველგვარი “მოზიარის” გარეშე გადიოდნენ მეორე ადგილზე, ხოლო ორი ქულა “შახტიორს” აძლევდა მე–3–მე-4 ადგილის მოპოვების ნაღდ შესაძლებლობას. ამიტომ ცხადი იყო, რომ ბრძოლა მძაფრი და შეუპოვარი იქნებოდა. ეს ასეც მოხდა. მრავალრიცხოვანი მაყურებელი მეტად დაძაბული და მაღალოსტატური თამაშის მოწმე გახდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც – 1:1 – ღირსეულ, თანაბარძალიან მოწინააღმდეგეთა შეუპოვარი ბრძოლის შედეგია.

მთელი თამაშის ბედი პირველ ათ წუთში გადაწყდა. თბილისელებმა პირველ წუთებიდანვე მედგრად შეუტიეს და რამდენიმე სახიფათო მომენტის შემდეგ ანგარიშიც გახსნეს. თოდრიამ (#11) დეგტიარევთან (#2) ბრძოლაში ბურთი კართან ჩააწოდა, სადაც მეკარე პესტოვმა იგი რამდენიმე მეტრით უკუაგდო, მაგრამ ბურთს დაეუფლა ვარდიმიადი (#9) და ზუსტი დარტყმით მოწინააღმდეგის ბადეში გაახვია. სტუმრები მაშინვე საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ და პონომარიოვმა (#9), მოატყუა რა ანთაძე (#6) და ძიაპშპა (#3) 22 მეტრის მანძილიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

ინიციატივა კარგა ხანს სტუმრების მხარეს იყო. “შახტიორის” მოთამაშეები, რომლებიც ჩინებულად არიან მომზადებული ფიზიკურად, მოქმედებდნენ კოლექტიურად, ენერგიულად და მეტად სწრაფად.

მხოლოდ შეხვედრის პირველი ნახევრის ბოლოს შეძლეს თბილისელებმა თამაშის გათანაბრება, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. შესანიშნავად თამაშობდა “შახტიორის” მეკარე პესტოვი, რომელმაც რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო.

მეორე ნახევარი “დინამოს” ენერგიული შეტევით დაიწყო. კ. გაგნიძე ოსტატურად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე და ზედ კარის წინ მიაწოდა ბურთი თავისუფლად დატოვებულ ვარდიმიადის, რომელმაც ვერ გამოიყენა ანგარიშის გადიდების რეალური შესაძლებლობა. შემდგომში ჭკუასელი, თოდრია, ღოღობერიძე და ვარდიმიადი ზედიზედ გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ სტუმრების დაცვა, რომელსაც ხშირად თავდამსხმელებიც ეხმარებოდნენ, ახერხებდა სახიფათო იერიშების გაქარწყლებას.

კუიბიშევის “კრილია სოვეტოვის” მიერ თავისი 26–ე თამაშის ფრედ დამთავრების შემდეგ თბილისის “დინამო” მტკიცედ დამკვიდრდა მეორე ადგილზე.

“ლელო”, 21 სექტემბერი 1951 წ.